10297/3-2/21 2 08102021

10297/3-2/21
08-10-2021

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს

ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი,

მოგეხსენებათ ახალი კორონავირუსის (COVID 19-ის) გავრცელებამ მძიმე გამოწვევების წინაშე დააყენა საგანმანათლებლო სექტორი. მოსწავლეებს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უწევდათ დისტანციურად სწავლა. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ოთხი ოქტომბრიდან, სწავლა დასწრებულ რეჟიმში განახლდა. მაინტერესებს რამდენად არის მზად სკოლები სასწავლო პროცესის განახლებისთვის ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით.

შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის თანახმად, მონიჭებული უფლების ფარგლებში, გთხოვთ მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- რამდენ სკოლაში ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები 2012-2021 წლებში?
- რამდენ სკოლაში მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები ამჟამად?
- გვაქვს თუ არა ისეთი სკოლა, სადაც სასწავლო პროცესი ვერ განახლდა სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო და რამდენი?

გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდოთ ჩაშლილად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონების ჭრილში.

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

3730-01-2-202111011442

N 01/3730
01/11/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თეონა აქუბარდიას

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2021 წლის 8 ოქტომბრის №10297/3-2/21 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის №6092/01; 11.10.2021) პასუხად, გაცნობებთ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისა და სასწავლო პროცესის განახლებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

პატივისცემით,

ილია ბეგიაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722